

დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე

თბილისი წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარი, თბილისი  
[konstantine\\_318@yahoo.com](mailto:konstantine_318@yahoo.com)

ლინდა გიორგაძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,  
თბილისი  
[lindagiorgadze@yahoo.com](mailto:lindagiorgadze@yahoo.com)

საკვანძო სიტყვები: სამღვდლო კონდაკი, საეკლესიო ტერმინოლოგია, კანანარხი/კანანახი.

### „სამღვდლო კონდაკის“ რამდენიმე ტერმინისათვის

მეუფე იოანე გამრეკელის, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, ლოცვა-კურთხევით, გამოსაცემად მზადდება „სამღვდლო კონდაკის“ ახალი რედაქცია. ამჟამად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში გამოიყენება 1899 წელს ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი „კონდაკის“ ძველი გამოცემა. ამის საჭიროება დიდი ხანია, დგას ქართულ ეკლესიაში, რადგან ამ გამოცემაში გარკვეული ენობრივი თუ სხვა უზუსტობები იჩენს თავს, რომელთა გამოსწორებაც, ვფიქრობთ, ბევრად გაუმარტივებს მღვდელს წირვის წარმართვას.

„კონდაკის“ წინამდებარე გამოცემის სარედაქციო ჯგუფმა რედაქტირება წარმართა ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური მიმართულებით, ასევე მოხდა ტექსტის კორექტირება. გარდა ამისა, ძველი კონდაკი სტრუქტურულადაც მაქსიმალურად შემცირებულია, რაც გამოწვეულია თავის დროზე ქაღალდის, დროისა თუ რესურსის ეკონომიის გამო. შემცირება გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთი რამ ტექსტში დაქარაგმულია (აქ იგულისხმება ისეთი ქარაგმების ჭარბი რაოდენობა, რომლებიც ტრადიციულად არ გამოიყენებოდა). ასევე, რადგან, მაგალითად, იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის წირვა სტრუქტურულად თითქმის ერთნაირია, ისევ ეკონომიის მიზნით, ბასილი დიდის წირვა ძველ კონდაკში შემცირებულია და მღვდლისთვის არის მითითება, რომ წირვის დროს გამოიყენოს იოანე ოქროპირის წირვის ტექსტი. ახალ კონდაკში ეს ადგილები შესაბამისი ტექსტებით შეივსო. ასევე, დიდი სამუშაო ჩატარდა პირველშეწირული ლიტურგიის გა-

შლისა და განმარტებისათვის, მოცემულია მღვდლისათვის მეტი მითითება, რაც უმარტივებს მას წირვის ჩატარებას.

მუშაობის პროცესში, რომელიც ენათმეცნიერებთან ერთად წარიმართა, ვხელმძღვანელობდით მთაწმიდელთა დადგენილი ძველქართული ენობრივი ნორმებით, ასევე – ძველი ქართული ენის ლექსიკონთა და საღვთისმეტყველო-სამეცნიერო გამოცემებში დართულ ლექსიკონთა მონაცემებით:

წარმოვადგენთ ჩვენ მიერ ჩატარებული სარედაქციო სამუშაოს ამსახველ რამდენიმე ნიმუშს.

1. *შენარჩუნებულია სალიტერატურო ქართულიდან ამოღებული ასონიმები:*

- *ღ* (იოტა) → წმიდაჲ სახარებაჲ;
- *ჟ* (უმარცვლო-უ) → ჩჟენ;
- *ჴ* (ვიე) → წყალობისათჴს, ბიჴჴნთისა;
- *ჯ* (ხ-არი) → ჴამლი, ჴამს, ჴორცი, (გამო/და)ჴსნა, ჴშირ(ი);
- *ჭ* (ჴოდ) → ჴსანა

2. *გაიშალა ქარაგმები:*

- *რ~ი* ← რომელი;
- *რ~მან* ← რომელმან;
- *ა~დ* ← არამედ...

ყველა რუბრიკაში გაშლილია ზოგიერთი ქარაგმა. მაგალითად:

*ღ~თი უ~ი* და გამოგჴჩნდა ჩჟენ → *ღმერთი უფალი* და გამოგჴჩნდა ჩჟენ;

*უ~ისა ღ~თისა / ღ~ისა ...* → *უფლისა ღმრთისა...*

*გაიმართა მსაზღრელ-საზღვრულები:*

*განგება ცისკრისა* → *განგებაჲ ცისკრისაჲ;*

*საღმრთო ლიტურღია* → *საღმრთოდ ლიტურღიაჲ;*

*შევეხეთ საკუთარ სახელთა მართლწერას. მაგალითად:*

*მოსედსი* → *მოსესი;*

*იოანე* → *იოვანე;*

*ნიკოლაოს* → *ნიკოლოზ...*

ასევე, ენათმეცნიერთა რჩევებით, „კონდაკში“ შესწორდა გარკვეული სინტაქსური ხარვეზები, გაიმართა კონსტრუქციები.

რაც შეეხება, ტერმინოლოგიას, ამ თვალსაზრისით „კონდაკში“ არ ჩავრეულვართ, თუმცა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო „კონდაკში“ დადასტურებულმა ერთ-ერთმა ტერმინმა *კანანარხმა* და შევეცდებით,

წარმოვადგინოთ ამ ტერმინის ისტორია. ეს ტერმინი გვხვდება „კონდაკის“ წინასიტყვაობაში.

დღეს ამ ტერმინის სხვა ვარიანტი *კანონარქი* გვხვდება თანამედროვე წყაროებსა თუ სასულიერო სფეროში. ასევე, დასტურდება ფორმა *კანანახი*. საინტერესოა, რამ გამოიწვია ერთი ტერმინის რამდენიმე ფორმის არსებობა, როგორ მიემართება ეს რამდენიმე ფორმა ერთმანეთს, როგორ გამოიყენებოდა ადრე და როდიდან იჩენს თავს ეს განსხვავება? ასევე, საინტერესოა, საეკლესიო ლექსიკონებსა თუ სასულიერო ლიტერატურაში (სახელმძღვანელოებსა თუ სტატიებში) რომელიმე ფორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა თუ დასაშვებია მათი პარალელურად გამოყენება? შევეცდებით, ავსახოთ ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებსა და წყაროებში ამ ტერმინის გამოყენების საკითხი და შემოგთავაზოთ ჩვენი მოსაზრება.

უპირველეს ყოვლისა, დავიწყებთ ამ ტერმინის წარმომავლობასა და განმარტების განხილვით. ეს არის ბერძნული წარმოშობის სიტყვა – *κανονάρχος*. სიტყვა შედგება ორი ბერძნული ფუძისაგან – *κανών* – კანონი და *ἀρχος* – „საწყისი, მართვა“ (ზმნა)). ეს ფუძე (*ἀρχος*) გვხვდება სხვა ტერმინებშიც: *პატრიარქი*, *არქიმანდრიტი* და სხვა. აქვე შევნიშნავთ ქართული ენის უნიკალურობას იმ თვალსაზრისით, რომ მასში შემონახულია ძველი ბერძნული ბგერების უძველესი გამოთქმები. ძველ ბერძნულში *χ* გამოითქმოდა როგორც *ქ* ბგერა, სწორედ ეს უძველესი გამოთქმებია შემონახული სიტყვებში ქრისტე, არქიმანდრიტი, პატრიარქი... (მახარაძე 2010: 231) შედარებით გვიან და თანამედროვე ბერძნულში ეს ასო გამოითქმება *ხ* ბგერად. შესაბამისად, პარალელური ფორმების არსებობა გასაგებიცაა. ახლა შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ამ პარალელური ფორმების გამოყენების ტენდენცია და თითოეულ ფორმას გარკვეული ადგილი მივუჩინოთ ქრონოლოგიური თვალსაზრისით.

*კანანარხი* ეკლესიის ერთ-ერთი მსახურის აღმნიშვნელი ტერმინია. ერთი განმარტებით ის აღნიშნავს რეგენტს, ასეა მოცემული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ხოლო მეორე განმარტებით დიაკონს. ასე განმარტავს ილია აბულაძე (აბულაძე 1973).

მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: „*კანონარქი* – *კანანახი*, საგალობელი კანონის დამწყები საეკლესიო პირი, რომელიც საგალობელთა პირველ მუხლს ამბობს; მგალობლისათვის ნიშნის მიმცემი, ხმის მანიშნებელი. კანანახობის მოვალეობის შესრულება მღვდლის ლოცვა-კურთხევით გარე-

შე პირსაც შეუძლია“... აქვე მოყვანილია აკაკი შანიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „კანანახობიდან“ დისიმილაციით მიღებული „კარნახობა“ და რომ „კარნახი“ სწორედ ამ სიტყვიდან მომდინარეობს (გაბიძაშვილი 2007). როგორც ვხედავთ, ამ ენციკლოპედიაში იჩენს თავს ფორმა *კანონარქი*.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დასტურდება მხოლოდ ფორმა *კანანახი* და აქ მოხმობილია სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება: „მაგალობელთა დამძახებელი“. აქვეა დამოწმებული ამავე ფორმით გამოყენების მაგალითი დავით გურამიშვილის ნაწარმოებში „სწავლა მოსწავლეთა“:

*კარგს საქმეზედა მიბაძვა არა რა დასაძრახია! [...]*

*ცუდის, ტყუილის მოზღაპრე სიცრუის კანანახია...*

*(ქეგლი)*

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში დასტურდება ფორმები *კანანარხი/კანანახი*, მოცემულია განმარტება, რომ კანანარხი არის დიაკონი და მოხმობილია საილუსტრაციო მასალა: X-XI საუკუნის „მამათა ცხოვრებაში“ დადასტურებული ფორმა *კანანარხი* და XI საუკუნის დასაწყისის „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებიდან“ – ფორმა *კანანახი* (*აბულაძე 1973*).

აღნიშნული ორი ფორმა მოვიძიეთ ქართული ენის ეროვნულ კორპუსში. საინტერესოა, რომ ფორმა *კანანახი* უფრო ხშირად დასტურდება, ვიდრე *კანანარხი*. განსხვავებულია ამ ფორმის გამოყენების პერიოდებიც. *კანანახი* და ამ ფუძით ნაწარმოები *კანანახობა* 6-ჯერ გვხვდება მამათა ცხოვრების ერთ-ერთ წიგნში, „კვირაკოზის ცხოვრებაში“. გამოდის, რომ *კანანარხი* და *კანანახი* პარალელურ ფორმებად დასტურდება მამათა ცხოვრების კრებულში. ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან გამომდინარე ამ ფორმის დადასტურების რაოდენობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში *კანანახს* ენიჭებოდა უპირატესობა და კანანარხი შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა.

იგივე *კანანახი/კანანახობა* დასტურდება გიორგი მთაწმინდელის „იოვანე და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, ასევე, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაშიც“ *კანანახობა* გვაქვს. თუმცა, *პეტრიწონის ტიპიკონში*, XI საუკუნის ბოლოს შექმნილ ძეგლში, დასტურდება ისევე *კანანარხი*. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ეს მაგალითი ფორმა *კანანარხის* დადასტურების ერთადერთი შემთხვევაა.

ახლა კი განვიხილავთ შედარებით გვიანდელ პერიოდს, ასევე ძველ და თანამედროვე ლექსიკონებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ-

ხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსა და დავით გურამიშვილთან გვაქვს ფორმა *კანანახი*. კორპუსში ვნახეთ, რომ ამავე ფორმას იყენებს ბესიკი „რძალ-დედამთილიანში“.

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ დასტურდება ფორმა *კანონარხი*. აქ მოცემულია სიტყვის განმარტება და მისი ბერძნული და რუსული შესატყვისები:

„*კანონარხი* – მაგალობელთა დამძახებელი საგალობელთა წიგნიდამ, сказыватель стихир певчих, κανονάρχης“ (ჩუბინაშვილი 1961). ამ ფორმის გამოყენების შემთხვევებს რომელიმე წერილობით ძეგლში ჯერჯერობით ვერ მივაგენით.

რაც შეეხება ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონს, მასში რუსული Сказыватель-ის გვერდით არ გვაქვს მოცემული კანონარხის მაგალითი, აქ ის მხოლოდ „მთქმელი, მეტყველია“ (ჩუბინაშვილი 1971).

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანციცულ ლექსიკონსა და ქართულ-რუსულ ლექსიკონში ისევ ფორმა *კანონარხი* დასტურდება. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან როგორც ცნობილია, დავით ჩუბინაშვილი ითვალისწინებდა და ეყრდნობოდა თავისი ბიძის, ნიკო ჩუბინაშვილის ნაშრომებს. როგორც ჩანს, ეს ფორმა მისგან უნდა ჰქონდეს აღებული.

ეს ტერმინი მოვიძიეთ საბჭოთა ეპოქის თარგმნითი ლექსიკონებიც. როგორც ვვარაუდობდით, არც სამტომეულ და არც ერთტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში კანანარხი არც ერთი ფორმით არ დასტურდება.

აუცილებლად უნდა შევხვით თანამედროვე ვითარებასაც და ვნახოთ, დღეს რა ფორმით გამოიყენება ეს ტერმინი. უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვნახეთ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელშიც მეთაურ სიტყვად დასტურდება ფორმა *კანონარქი* და მხოლოდ ამის შემდეგაა პარალელურ ფორმად მოხმობილი *კანანახი*. ეს ფორმა გამოიყენება ჟურნალი „კარიბჭის“ სხვადასხვა ნომერში, აქ მხოლოდ ფორმა *კანონარქია* გამოყენებული. მაგალითად:

„საბერო მანტიებით მოსილი *კანონარქი* და ეკლესიარქი, ანგელოსთა მსგავსად, გადადიოდნენ ერთი კლიროსიდან მეორეზე“ („ნოსტალგიური მოგონებანი“, კახაბერ კენკვიცილი, ჟურნ. „კარიბჭე“, 2006).

ამავე ჟურნალში გვხვდება ფორმა *კანონარქი* წმინდანის ზედწოდებადაც: *ღირსი ლეონტი მღვიმელი, კანონარქი* (XIV).

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ განხილულ მასალაში ამ ერთი ტერმინის განსხვავებული ფორმები იჩენს თავს. „კონდაკის“ რედაქციის პროცესში ჩვენ დავტოვეთ უცვლელად ფორმა *კანონარქი*, რადგან, როგორც ვნახეთ, ტრადიციულად ისიც გამოიყენებოდა. ამდენად, ჩვენ მხოლოდ ამ ტერმინის პარალელური ფორმების ისტორია წარმოვაჩინეთ. ალბათ, გადასაწყვეტია, რომელ ფორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა თანამედროვე ლექსიკონში და როგორ უნდა აისახოს ამ პარალელური ფორმების ისტორია. ვიმედოვნებთ, ჩვენი მცირე კვლევა ქართულ ტერმინოლოგიას ერთი მცირე საკითხის მოგვარებაში დაეხმარება.

### ლიტერატურა

*აბულაძე 1973* – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

*გაბიძაშვილი 2007* – ენრიკო გაბიძაშვილი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი.

*კონდაკი 1899* – სამღვდლო კონდაკი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, ტფილისი.

*ლექსიკონი 1956-1959* – რუსულ-ქართული ლექსიკონი, სამტომეული, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი.

*ლექსიკონი 1966* – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი 1, თბილისი.

*ლექსიკონი 1983* – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

*მახარაძე 2010* – ნელი მახარაძე, ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები და მათი მნიშვნელობა ბერძნული ენის ისტორიისათვის, კრებული „ბიზანტია ქართულ წყაროებში“, თბილისი.

*ქეგლ* – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, თბილისი.

*ქეკ* – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

*ჩუბინაშვილი 1971* – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ორტომეული, თბილისი.

*ჩუბინაშვილი 1984* – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

Archpriest Konstantine Giorgadze

*The priest at the church after the name of St. John the Theologian,*

*Georgia*

*Konstantine 318@yahoo.com*

Linda Giorgadze

*TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia*

*lindagiorgadze@yahoo.com*

*Keywords:* Euchologion, Ecclesiastic Terminology, Term Kananarkhi/  
kananakhi.

## On Some Problematic Terms Presented in the Process of Edition of the Priest's Euchologion

### Summary

With the help of praying and blessing from Reverend Ioane Gamrekeli, Metropolitan of Kutaisi and Gaenati, the new edition of the priest's Euchologion is being prepared for editing. There has been a need for this work to be done for a considerable amount of time for Georgian Church as nowadays, in the existing Euchologion texts, we can notice quite a number of inaccuracies (of phonological, morphological, syntactic, lexical-phraseological, orthographic and punctuation character). Besides the above -mentioned, the structure of euchologions is quite inconvenient (which resulted from the economic need for using paper, time or other resources). The mentioned factors make the process of prayer quite difficult for the priests. As a result of the above said, a group has been created in which church persons and linguists are participating.

It is clear that Euchologions are used in several situations and for many purposes. However, in the present paper, we try to speak about one very interesting term which seems to us one of the most interesting among the others, in relation to the terms denoting the titles of the religious servants. Those terms can be met in texts as *kananarhi* or *kanonarqi*. Surely, none of the variations of the terms are of Georgian

origin. That is why we decided to determine which of the mentioned words could be better in the meaning of more precise and adoptable borrowing. We noticed that in the modern texts, the form *kanonarqi* is privileged and we do not think this choice is right. The texts of the journal “*Karibche*” show that only mentioned form is used in its texts. It also prevails in the names of the saints (Worthy Father Leonti Mghvimeli, canon arch....).

To eliminate such diversity and to base the right form for the titles, it has become necessary to investigate the history of the origin of some terms. We searched for the mentioned terms in the Corpus of Georgian Language and a number of dictionaries. We should note that to be clear about the mentioned opinion, we addressed it to the Department of scientific terminology, Arn. Chikobava Institute of Linguistics. We will try to represent the results of our minor investigation and our opinion about several variations of one term.

In our paper, we present the principles and the problems of our work and underline the importance of work to have clear and correct terminology in general and, specifically, in our case. It should also be noted that the editorial work on the new edition of the Euchologion which is now going on, has important practical significance and in our opinion, it will be important for the Georgian Church, in general. We hope that our paper will make a modest contribution to scientific research for Georgian Church terminology in the sense of reaching more terminological clarity even only for one term.